

საერთო ურნალი

მუსავალი

(იბეჭდება თან კვირაში ერთსეულ)

ურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეცნ. საზოგადოება
თითო ნომერი ხელშე გასასყიდად . 10 კაპ. || აღრესი: თბილისი, ვარაუბიანი, № 5.

რედაქტორი პირიელი

1909 წლის 15 მაისის მიზანისთვის.—№ 15.

შ ი ნ ა რ ს ი

კავკასიელ მეურნეთა კრების დადგენილებანი 3

8. რცხილაძე	მცენარენი და ცხვევლი	5
3. გულბათიშვილი	ნიადაგი	7
შ. დედაბრიშვილი	შინაური საქონლის მოვლა-მოშენება	10
8. ნახუცრიშვილი	საუბარი დედამიწაზე	11
3. ახოშვილი	შსხალი და ქაშლი	13

საყურადღებო ცნობები:

8. 8	გაერთიანები მიწის გადნობა	16
	მიწის მოძებნა	16

განცხადებანი 16



სამეცნიერო ჟურნალი

მოსკვალი

(იძეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალში მონაწილეობის მიიღებუნ: — ავტორები 3., ალიბეგოვი გ., ბერეგას შეიღო კ., გვერდწითელი 3., გოგინევი ლ., გოგინაშეიღო შ., ერისთავი ს., ვაჟა-ფშაველა, იოსელიანი ე., გარბელაშეიღო გ., გალანდაძე ნ., ლორთქეფნიძე 3., ლონინძე ა., მაკარაშეიღო ხ., მოსკეშეიღო ი. მრევლიშეიღო გ., მეურნალი ხ., მურვანიშეიღო შ., მჭედლიშეიღო გ., მატელაშეიღო მ., მალალაშეიღო მ., მიღინი ლ., ნინეშეიღო შ., ნახუცრიშეიღო გ., ნასარიძე ს., წულუევი ა., ერილაშეიღო ზ., ღვთისავაროვი კ., ზალიშეიღო შ., ჯაფარიძე გ., ყავრიშეიღო ხ., ჩოლოუშეიღო ს., რაზიგაშეიღო თ., რეზილაძე გ., ხუნდაძე ს., ფიმოვევევი ს., საკოვი ა., ქარცივი მ.

რედაქტორი მოელის სხვებიდებანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქტორისთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომპიტერია რედაქტორის სავალდებულოთა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამზედობასა და სიმშევადეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სტაციონებენ და არ შეუძლიანთ რედაქტორისთან პირის შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს წერით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან: გოგიბაშეიღო ი., სარაჯიშეიღო ა., ჯანაშეიღო მ., თაყაიშეიღო ე., იოსელიანი ე., გულისაშეიღო შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიქაშეიღო ლ., ბილანაშეიღო შ., დედაბრიშეიღო შ., ღამბაშიძე ვ., ალაძე ი., გულისაშეიღო მ.

თანამშრომელთა საზურადლებოდ.

ჟურნალის შემოსვლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორი შეასწოროს და შეამცილოს. წერილები და კორექციონები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქტორი მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეცნიერო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეცნიერო ნაწარმოების შექვენაუასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ლირს ორი შატრი.

წლიურ აბინდინგტუბისათვეს განცხადების ფასი რედაქტორისთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თესლეულობა სხვადასხვა სამეცნიერო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქტორის, ჟურნალის ხელისმომწერლებს გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

შურნალი ზელიზადში ღის 3 მანეთი.

რედაქტორის ადრესი: თიფლის, ბარათინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი 3. 0. რცხილაპი

პავპასიელ მეურნეთა კრების დადგენილებაზე

საყურადღებო იყო კ. მ. ამირა-ჯიბის მოხსენება შესახებ იმისა თუ რო-გორი გუთანი ჩაითვლება საუკეთესო გუთნად.

თავის მოხსენებაში კ. ამირაჯიბი ამ-ბობს რომ გუთანი უნდა იყოს ისეთი, როგორიც უნდა ამა თუ იმ ნიადაგს და არა უნივერსალური, ესე იგი ისეთი, რო-მელიც უველა ნიადაგებისათვის გამო-დგება.

რკინის გუთნებიდან, რომელნიც დღეს არიან ხმარებაში, არც ერთი არ ვარგა ქართლ-კახეთის მძიმე თიხნარ ნიადაგებისათვის, ხოლო მათ შორის უფრო კი შეჭრების ხსენებულ ნიადა-გებს რანსომის რკინის გუთანიო.

შემდეგ ბ-ნი ამირაჯიბი თავის მოხ-სენებაში იგვიწერს რკინის გუთანს, რომელიც მან გამოიგონა ქართლის თიხნარ ნიადაგებისათვის.

კრებაშ დაადგინა: ეთხოვთ თუ ამი-რაჯიბს გარდასცეს თავისი გუთანი ყა-რაიაზის საცად სტანციას გასაშინჯად და აგრედევე, უკეთუ კავკასიის სამე-უნენ საზოგადოება მოახერხებს და გამართოვს გუთნების გამოცდას, კონ-კურსში ეს გუთანიც მოაქციონ.

მემკვიდრეობისა და მემკვიდრეობის შესახებ

ბ-ნ ტიებოს მოხსენებიდან კრების წა-რედგინა მხოლოდ შემდეგი უმთავრესი დასკვნა მოხსენებისა: თუ ამიერ კავკა-სიაში მეღვინეობა წინ არ მიღის და ხშირად განიცდის აუტანელ კრიზისს, ეს იმიტომ რომ აქამომდე არა გვაქვს შემუშავებული ისეთი ტიპის ღვინო, როგორსაც მსოფლიო ბაზარი ითხოვს,

თუმცა აქვერი ბუნებრივი პირობები სრულ საშუალებას გვაძლევენ მოვამზა-დოთ ისეთი ღვინოები, როგორსაც ევ-როპა ამზადებს.

პირადი გამოცდილებით ბ-ნი ტიე-ბო ამტკიცებს, რომ ისეთ ღვინოებს ბაზარი მუდამ აქვს. გარდა ამისა, 30 წლის დაკვირვებამ ამ საქმეში, ფაქტი-კურმა მასალამ ამ ხანში შეგროვილმა აი რა დამასკვნევინაო.

1) კარგი ღვინის დასაყენებლად უნ-და ვენაბში რამდენიმე ჯურა, ხოლო ყველა კარგი ვაზი იყოს ჩაყრილი; ყველა ამ ვაზების ყურძენი უნდა აი-რიოს ნავში და ისე დაიწუროს ან და, თუ თითოეული ჯურა ცალკე იქნება დაწურული, ტკბილი ამ ყურძენებისა დუღილის დროს უნდა ერთმანეთში აირიოს. თუმცა იშვიათად, მაგრამ არის ხოლმე ისეთი შემთხვევაც, როდესაც რომელიმე ჯურა ყურძენი სამჯობინა-რია ცალკე დაწურულის და ცალკე და-დგეს იმისი ღვინო.

2) საუკეთესო თეთრი ღვინო დგე-ბა იმერეთში შემდეგი ვაზებისა: а) სემი-ლიონი, სოვინიონი და მუსკადელ; б) პინო თეთრი, შარდონე და ალი-გოტე; გ) პინო გრი ცალკე; д) რის-ლინგ და ტრამინერ.

3) საუკეთესო წითელ ღვინოს იძლე-ვიან: კაბერნე, სოვინიონი, კაბერნე-ფრან, მერლონ და მალბეკ.

4) დანარჩენ ჯურა ვაზებიდან შე-დარებით კარგ ღვინოს აყენებენ — წი-თელს: სირა, პინო ფრან, მურვედრ, რომენერ, დიურიფ, ტანა, პინო და კაბერნე. თეთრ ღვინოს: კუნდა (მწვა-



ნე იმერული), ციცა, კრახუნა, ცოლიკოური, ანდასაული, და რქაწითელი.

5) სხვა ღვინოებში ასარევად ანუ დასაფერად კარგი ღვინო მიიღება შემდეგი ვაზებიდან: საფერავი, გამე, ფრეო და მათგან პირდაპირ წარმომდგარი სეიდელ 156 B. და 1020 და კუდერ 4401.

6) იმერეთში არა ლირს გაშენება იმ ვაზების, საიდანაც ტკბილი ლიკიორები მიიღებიან.

7) შამპანური შუშხუნა ღვინოები ყოველი ლირსებით მშვენიერი შეიძლება იმერეთში მივიღოთ შემდეგი ვაზებიდან: პინო ფრან, პინო დაი, პინო გრი, პინო მენიო, შარდონე, პინო თეთრი და ოლიგოტე.

8) კონიაკების მისაღებად ვარგანან: ფოლბლანშ და სანტ-ემილიონ.

9) ყველა ზემოთ აღნიშნული ვაზების საძირე ვაზებად, რომელთხედაც უნდა ვამყნოთ არიან: რიპარია X რუპესტრის 101—14, 3306 და 3309; სოლონის X რიპარია 1616; მურვდრ X რუპესტრის 1202; რიპარია X ბერლანდიერი 420 A და შასლა X ბერლანდიერი 41 B. საუკეთესო ლირსების ღვინოს იძლევიან 420 A რიპარია გლუარ და 1616, ხოლო რიპარიას დიდი სიფრთხილე უნდა, რადგან არც დიდხანს სძლებს და ნიაღავის ძრიელ კარგ შეჩევასაც თხოულობს.

რუპესტრის დიულო სრულიად გასახენი არ არის იმერეთში, რადგან ყოველი ავადმყოფობაც მაღლე ეკიდება და ღვინოსაც დაბალი ლირსებისას იძლევა ძალიან.

10) ყოველი, რაც ზემოთ ითქვა, შეჩენილია და ნაცადი იმერეთის ჰავასა და მიწა-წყალში.

11) რადგან ისე ადრე, როგორც იმერეთში ყურძენი არსადა არა მწიფ-დება, დიდ შემოსავალს მისცემს იმერეთს ადრეულა ჯიშების გამრავლება. ბევრით ადრე, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან მიტანილი ყურძენი სატანტო ქალაქებში პეტერბურგში და მოსკოვში, მაღალ ფასებში გაიყიდება და მეტ გამორჩმებას მისცემს მომყვანს, მით უმეტეს თუ ყურძნის მაღლე გადასახიდი ვაგონები შემოილეს რკინის გზებზე.

არა ნაკლებ ისარევებლებდა იმერეთი ყურძნის ადრე დამწიფებით, რომ იქმნენ გამართულნი ქუთაისის გუბერნიაში კურორტები ავადმყოფთათვის, რადგან ისე ადრე, როგორც აქ, სხვაგან არსად ეკროპაში ყურძენი არა მწიფდება და საჭმელად არ შემოდის.

შესახებ ღვინის დაყენებისა კრებას წარედგინა ორი ერთმანეთის წინააღმდეგი მოხსენებანი ბ. ა. ეგოროვისა და ბ. ვ. მჭედლიშვილისა პირველი ამტკიცებს, რომ ადრე თუ გვიან კახეთი იძულებული იქნება მიატოვოს ჭაჭაზე ღვინის დაყენებას თავი და გადავიდეს უჭაჭოდ დაყენებაზე ეკროპიულად. ამ მოლოდინს ამართლებს ის გარემოება, რომ ამ რამდენიმე წლის წინად, როცა პირველად ითქვა ესეთი აზრი, ყურადღებაც კი არავინ არ მიაქცია, ყველას შეუძლებლად მიაჩნდა იგი; როდესაც შემდეგ მეორედ გამოითქვა ესევე აზრი მევინახეთა და მეღვინეთა კრებაზე, კველანი ისე ერთბაშად აღარ იყვნენ წინააღმდეგნი ამ აზრისა; ეხლა ისეთი ვენაბის პატრონებიც კი გამოერიგნენ, მაგალითად ქართლში, ქსნის ხეობაში, რომელნიც ეკროპიულად აყენებენ ღვინოს უჭაჭოდ.

მცენარენი და ცხოველი

ბ. მჭედლიშვილი თავის მოხსენებაში ამტკიცებდა წინააღმდეგს ამისას.

კრებამ დაადგინა: მივიღებთ რა მხედველობაში რომ არსებული კახეთში წესი ღვინის დაყენებისა კაჭაზე შეკავშირებულია ხალხის მატერიალურ მდგომარეობასთან და შინაურ ბაზრის მოთხოვნილებასთან, კრებას სასურველად არ მიაჩნია ხსენებული წესის ძირეულად შეცვლა; უფრო სასურველად ხედავს კრება, რომ ადგილობრივი წესი მეღვინეობასა საფუძვლიანად იყოს ყოველ მხრივ შესწავლილი და შესატანი ცვლილება მეცნიერულად მოწყობილ ცდაზე იყოს დამყარებული. სასურველია დაარსებულ იქმნას კახეთში მეღვინეობის შესასწავლებლად საცადი

სტანცია, რომლის მზგავი სტანციები საჭირონი არიან აგრედვე სხვა რაიონებისათვისაც, რომ შესაძლებელი გახდეს მთელი ამიერ კავკასიის მევენახეობისა და მეღვინეობის უმთავრესი მოთხოვნილებების შესწავლა და დაკმაყოფილება:

თანახმად ბ. ვ. რცხილაძეს მოხსენებისა კრებამ ერთხმად უარპყო საფუძველი იმ კანონ-პროექტისა ღვინოების მომზადებისა და ვაჭრობის შესახებ, რომელიც სახელმწიფო საბჭოშია წარდგენილი, და დაავალა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გამგეობას რათა მიიღოს მან ყოველი ღონისძიება, რომ კანონ-პროექტი იგი იქმნეს შეცვლილი თანახმად კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან შემუშავებული პროექტისა.

მცენარენი და ცხოველი

სიცოხლის დამკიდევაულება
 გავდარ ბუნებასთან

ორგანიზმოთა საცხოვრებელი მიდამო

მეტი წილი ორგანიზმოებისა სცხოვრობს ჰაერში ან წყალში. ამიტომ მათ ცხოვრების მიღამოს შეაღენს ატმოსფერა ან წყალი. განსაკუთრებული ცხოვრება იქვთ ზოგიერთ ორგანიზმოებს, რომელნიც სხვა ორგანიზმოთა სხეულების სითხეებში—პროტოპლაზმუში, სისხლში, ლიმფაში, ნაწლევებისა ან ჯირკვლების წვენში სცხოვრობენ.

შეა ადგილი ხმელეთზე და წყალში მცხოვრებთა შორის უჭირავთ ისეთ ორგანიზმებს, რომელნიც შეპრევენინ ერთ რომელსამე მიღამოში ცხოვრებას, ხოლო სუნთქვის ორგანო კი ისეთი შერჩენიათ, როგორიც სხვა მიღამოში მცხოვრებლებსა აქვთ. ასეთნი არიან ყველა ის ცხოველები, რომელნიც

სცხოვრობენ წყალში, მაგრამ სუნთქვის ორგანო კი ხმელეთზე მცხოვრებებისა აქვთ.

ხმელეთზე მცხოვრებ ცხოველების ამგვარი შეჩვევა წყალში ცხოვრებას იწყება, მაგალითად, იქიდან რომ ზოგი ცხოველები დროებით შედიან წყალში საჭმლის საშოვნელად, გასამრავლებლად, ან სხვა მიზნით, და თავდება იმითი რომ ზოგი ამ ცხოველთაგანი (ვეშაპნი) სრულიად ჰკარგავენ ხმელეთზე ცხოვრების ყოველ საშუალებას.

მეორეს მხრით, არიან ისეთი ცხოველებიც, რომელთაც ფილტვებიც აქვთ და ლაუზებიც სასუნთქვად ჰაერშიაც და წყალშიაც და ამასთან სხვა ისეთი ორგანოებიც აქვთ, რომელთ ხმარება წყალშიაც შეიძლება და ხმელეთზე დაც ატმოსფერაში.

ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენენ ზოგი ქვემდრომნი (Amphi-

bia), რომელთაც ჯერ ერთი რომ კანი აქვთ ისეთი, რომლითაც წყალშიაც შეუძლიანთ სუნთვა და ჰაერშიაც, და მასთან დაბადებიდან განვლიან ცხოვრების ისეთ ხანას, როდესაც კანის გარდა სუნთქვისათვის აქვთ ჯერ მარტო ლაყუჩები და შემდეგ ზოგს ეს ლაყუჩებიც შერჩებათ ხოლმე (proteus unguineus), ზოგს არა და ყველას ფილტვები ეზრდებათ; ზოგს ფილტვების მაგივრად სუნთქვის ორგანოდ ხაყლაპავის ლორწონიანი გარსი უხდებათ და ფილტვები კი ან ზრდადაუმთავრებელნი რჩებიან. ან სრულიად აღარ ეზრდებათ.

ყველა ამისთანა მაგალითები გვიჩვენებენ რომ ბუნებაში ცხოველთა შორის ესეთი შეჩვევა-გადაჩვევა ჰაერში და წყალში ცხოვრებას იმ ზომამდე ხდება, რომ ხან მათი სხეულის ასოთა-გებულობა და ფიზიოლოგიური მოწირებაც კი იცვლება. ზოგი კიბომზგავსნი, მაგალითად, იმდენად არიან შეჩვეულნი ხმელეთზე ცხოვრებას, რომ მარტო გასამრავლებლად ჩადიან წყალში; ტენის ჭია, რომელიც ყოველ ეჭვ გარეშეა, რომგანსაკუთრებით წყალში მცხოვრებ წინაპარიდან არის ჩამოვალი, სრულიად განშორებია წყალს.

წყლის გარეშე ცხოვრების შეჩვევის მაგალითს თევზებშიაც ვხედავთ. ზოგს მათგანს (*Anabas scandens*) ლაყუჩების გარდა სხვა დასამატი ორგანოც ეზრდებათ ჰაერში სუნთქვისათვის და ზოგს კიდევ მაგალითად ორნაირად მსუნთქვას თევზებს (*Protopterus anectens*), საცურაო ბუშთი (თევზის ბუშთი) ფილტვების მაგივრობას უწევს. ბრემს მცენარეს მაგალითად ერთი ჯიშითევზი (Periophthalmus), რომელიც

წყლიდან გამოდის და ხეზე ადის სანადიროთ.

სუნთქვას ხან ჰაერში, ხან წყალში დღეში, კვირაში, თვეში რამდენჯერმე შეჩვეულნი არიან ზღვის ნაპირებზე მცხოვრებნი (*Balanus, Cirrhipedia* და სხვ.), რომელიც წყალში არიან ხოლმე, როცა ზღვის ტალღა ნაპირისაკენ მოდის და ჰფარიას მათ, და უწყლოდ, როცა ტალღა უკან ბრუნდება.

წყალში ჩასვლის უფრო შესანიშნავ მაგალითს წყლის ბებერა (*Argyroneta aquatica*) წარმოადგენს, რომელიც შიგ წყალში შეიკრავს ხოლმე თაღს აბლაბულისას, შეზიდავს ამ თაღის ქვეშ პატარ-პატარა ბუბოებს ჰაერისას და სუნთქვას ამ ჰაერით, როცა თაღის ქვეშ ზის სანადიროთ.

განსაკუთრებულად ახერხებენ აგრედვე წყალში ყოფნის და იქ სუნთქვას სხვადასხვა მწერ-ჭია-მატლნი და სხვა.

ჰაერგვართ მნიშვნელობა

ჰაერის გარდა ღიღი მნიშვნელობა აქვთ ცხოველებისთვის იმ სხვა ჰაერგვარებსაც, რომელიც როგორც ატმოსფერაში, ისე წყალშიაც არიან.

ჩვენ ვიცით რომ ცოცხალი არსების საცხოვრებელ მიღამოში უნდა საკმარისი მევაგბალი იყოს და მასთან სიცოცხლის მტერი ნახშირმეავეც ზომაზედ მოქარებებით არ უნდა ერიოს.

რა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ჰაერგვარების ესეთ შეზავებას, ამას აშკარად ვხედავთ ზღვის ბიოლოგიიდან და ზოგადად მდინარე წყლების შეწავლიდგანაც.

მეზაგბადი გახსნილი წყალში მუდამ იხარჯება წყალში მცხოვრებ ორგანიზმოების სუნთქვით და სხვადასხვა ნივთიერებებთან ქიმიურად შეერთებით.

ამავე დროს ამ სუნთქვაში და ნივთიერებათა დამევბადაში წყალში მატულობს ნახშირმევე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთგვარი ზომიერება ამ ჰაერგვართა შორის წყალში მაინც არ იროვება.

ეს ზომიერება ინახება ერთის მხრით იმითი, რომ ატმოსფერიდან წყალში მუდამ ახალ-ახალი მევბადი ჩადის, რომელიც დნება წყალში და ერევა გას, და მეორეს მხრით წყალში მყოფი მცენარენი ქლოროფილის ან მის მზგავსი ნივთიერების მეონენი სინათლის ზედმოქმედებით იზიდავენ თავისკენ წყალში შეგროვილ ნახშირმევეს, ითვისებენ მის ნახშირბადს და განთავისუფლებულ მევბადს ისევ უკან უბრუნებენ წყალს.

პირველი მოვლენა, ცხადია, უნდა ხდებოდეს ზღვის ზედაპირზე, მეორე — წყლის სილრმეში, სადამდინაც ზემოდან სინათლე უწევს. შემდეგ მევბადის განაწილება მოელ წყალში ხდება წყლის ნაწილების ორევ-დარევით სხვადასხვა მიზეზებისა გამო.

იქნან ცხადია, რომ თუ ვინიცბაა საღმე წყალში რაიმე მიზეზისა გამო მევბადმა იკლო და ახალი არ მიემატა, იმის შემყურე ცოცხალი არსებანი უნდა დაიხოცნენ. ასე ამოიხრევებიან ხოლმე ზოგჯერ დღინარე წყალში მცხოვრები ცხოველები ზამთარში, როცა ზემოდან ერთბაშად გაყინული წყლის ზედაპირი აღარ უშვებს ატმო-

სფერიდან ახალ მევბადის წყალში გასაღნობად.

უმეავბადობის გამო სიცოცხლის მოსპობას წყალში დიდი ზომით კასპიის ზღვაში ვხედავთ.

1904 წელს კასპიის ზოვაზე ყოფილი ეკსპედიციის შემოწებით ამ ზღვის სილრმე შეუ წელზე 30 საუკამდე უწევს დახლოვებით, ხოლო სამხრეთ ნაწილში 40 საუკამდე და ცოცხალი ორგანიზმონი კი არიან ზღვაში მარტო 17 საუკამდე რის ქვევით ყოველი სიცოცხლე მოსპობილია.

ერთი მიზეზთაგანი ამ მოვლენისა ეკსპედიციაში მყოფი ქიმიკოსი ა. ლებედინცევის გამოკვლევით კასპიის ზღვის დიდ სილრმეზე მევბადის სიცოტავე ყოფილა.

წყალში სიცოცხლის მოსპობის საუკეთესო მაგალითს საწამლავი ჰაერგვარების მიზეზით შავი ზღვა წარმოადგენს.

ბლომად არეული შავი ზღვის წყალში 85—100 საუკამდე სილრმეზე ჰაერგვარი გოგირდწყალბადი ამ სილრმიდანვე სპობს თურმე ყოველ სიცოცხლეს, როდესაც რომ შავი ზღვის საშუალო სილრმე დადის 650 საუკამდე და ზოგან კი ეს სილრმე უწევს 1227 საუკამდენაც.

ჰაერგვარი გოგირდწყალბადი ესევე სპობს სიცოცხლეს ზღვაში ბევრგან სხვაგანაც.

ვ. რცხილაძე

ნიადაგი

ნიადაგი და მისი უგოთაშროესი
 თვისებები
 აგანავინმე არის ისეთი რომ არ ეს-
 მოდეს სიტყვები: დედამიწა, ნიადაგი

რას ნიშნავს? რომ იაროთ აქვერთი ზღვიდან ზღვამდე ფხეცვეშ სულ მღლდამ ნადაგი გექნებათ და თუ მოიწადინებთ დედამიწის ამოთხრას საღმე

ამ ამოთხრაში აღრე თუ გვიან სალ კლდემდე დახვალთ, რომელიც ნიადა- გის საძირკველს შეადგენს.

ამგვარად ნიადაგი გარშემოქრტყმის დედამიწის კანს შედგარს სალი კლდი- საგან ისე, როგორც წენგო კაკლისა მაგარ ნაჭუჭს ან რეზინი ეტლის რკი- ნის თვალს.

ნიადაგი, როგორც ზემოთი პირი დედამიწის კანისა, ყველგან ერთნაირი სისქისა არ არის. დაბლობ ვაკეებში ეს სისქე 50 საუენი და მეტიც არის ხოლ- მე და მაღალ მთებზე კი ნიადაგს ხან ნახევარი არშინი სისქე არც კი აქვს.

სადაც სალ კლდეს თავი ამოუყვია იქ ხომ ნიადაგი სრულიად არ არის, არამედ ტიტველი ქვა.

ამგვარად, ნიადაგის სისქე დედა-მიწის კანის სისქეს რომ შევადაროთ, თუნდა იქ საღაც ეს სისქე უჯიდესია, იგი მაინც შედარებით ძრიელ თხელი გამოვა აშ- კარაა. ნიადაგი ჩვეულებრივ დევს თა- ვისთვის მშვიდად, როცა კი საძირკვე- ლი მისი სალი კლდე—დედამიწის კა- ნი—წყნარად არის, და თუ დედამიწა იძრა და ამ ქვებს ალიაქოთ აუტყდათ, მაშინ ნიადაგიც აირევ-დაირევა ხოლმე. ხოლო ესეც რომ არ იყოს, ესე იგი დედამიწის ძრიაც რომ არ მოხდეს, ნია- დაგი სხვადასხვა მოვლენებისა გამო ბუ- ნებაში მაინც სულ მუდამ ერთნაირი არა რჩება, არამედ იცვლება.

ჩვენ ვიცით რომ ნიადაგი სხვა და რიყე, რომელზედაც წყალი მიდის, სხვა. ზღვის ძირი, მაგალითად, ნიადაგად არ ჩაითვლება.

ამასთანავე ვიცით რომ ზღვის ძირი შეიძლება ხმელეთად გარდაიქცეს, ხმე- ლეთი კიდე საღმე ზღვამ დაიტანოს, ზღვის ძირად გახდეს.

ვიცით აგრედვე რომ ზღვის ზედა- პირი შუაგულ ზღვაში უფრო დაწეუ- ლია, ნაპირებისაკენ ხმელეთთან ახლო, უფრო აწეული და რომ მიზეზი ზღვის ზედაპირის ასეთი მაღლა აწევისა ნა- პირებთან ხმელეთის ბრალია, რომელიც იზიდავს წყალს თავისკენ როგორც ან- დამანტი რკინას.

მაშ აქედან ცხადია, რომ ზღვის პირ- ზე ხმელეთის შეცვლა გამოიწვევს ცვლილებას ზღვის მდებიარობაში და ეს უკანასკნელი კიდე ხდება მიზეზად ნიადაგის ასე თუ ისე გამოცვლისა. ყო- ველ დღე მთელი წლობით და საუკუ- ნოებით მდინარე წყლებს ჩაქვთ ზღვა- ში ნიადაგის ნაწილები, რომელნიც ზოგი ილამებიან სადაც მდინარე ერთვის ზღვას და ზოგი კი ჩადიან ზღვის სი- ლმრმეში, ავსებენ თანდთან ამ სიღრ- მეს და საუკუნოთა განმავლობაში წარ- მოადგენენ აქა-იქ დიდსა და პატარა კუნძულებს.

ხმელეთის ბევრი ადგილები სადაც ეხლო რუსეთია წინად ზღვის ქვეშ იყო, ეხლანდელ გერმანიის მეტ წილ ტე- რიტორიაზე უწინ ზღვა იდგა და სა- ზოგადოდ მთელი ხმელეთი ოდესაც ზღვის ძირი წარმოადგენდა.

ზღვა არის თუ ტბა, ვიდრემდის წყლით არის სავსე, მის ძირი ნიადა- გად არ ჩაითვლება აშკარაა, მაგრამ როცა ეს წყალი წავა-წამოვა, მისი ნა- დგომი ადგილები ნიადაგად იქცევა და შეგვიძლიან ვისარგებლოდ კიდევაც იმათთით.

უკელა ამგვარი მოვლენა წარმოგვი- დგება ხოლმე თვალწინ, როცა ვიკით- ხავთ, რა არის ნიადაგი? ცხადია რომ ნიადაგათ არ შეიძლება მივიღოთ რი- ყე, რომელზედაც ზღვა ან ტბა დგას,

ან მდინარე მიდის რომელიმე. ნიადაგი წარმოდგენილი უნდა გვქონდეს ჩვენ როგორც დედამიწის ზედა პირი, რომელსაც დაჰყურებს ზემოდან ცა და ეხება ატმოსფერა ყველა თავისი მოვლენებით. ჩვენ წარმოდგენაში აგრძევე არ უნდა ვრცელდეთ სალკლდეს და ნიადაგს ერთმანეთში.

თუმცა ბუნება ამ სალკლდებს სითბო-სიცივის ზეჯგავლენით, ქარის ზედმექმედებით დღემუდამ ამსხვრევს — ამტვრევს და ნიადაგად აქცევს, მაგრამ ამავე ბუნებაში ისიც ხდება რომ ნიადაგები ქვავდებიან და სალკლდების გარდაიქმნებიან.

ამიტომ ვეცდები გამოვარკვით, რაში მდგომარეობს ზედმიწევნით ეს განსხვავება ნიადაგებსა და სალკლდების შორის.

უმთავრესი განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ სალი კლდე წარმოადგენს მაგარ ქვის, ნიადაგი კი — იგივე ქვებისაგან უესლება, ხოლო ეს ქვები ჯერ წვრილად არიან დამსხვრეული და მიღება ნაშსხვრევები ისევ უეკოწიწებულია იმ ნივთიერებებით, რომელნიც დამსხვრევის დროს წარმომდგარან.

ამ განსხვაების გამოაშკარავება ჩვენ ასე შეგვიძლიან: რომ ავილოთ პატარა მონატები სალი კლდის და ჩავდოთ წყალში, ჩვენ ვნახავთ რომ ამ ნატებს არც რომდენობა გამოეცვლება, არც სანახაობა და არც შედგენილობა; რომ ჩავდოთ წყალში ნიადაგის ისეთივე პატარა ნაწილი-კი, ვნახავთ რომ იგი დაიშლება, ან არა და გაცომდება, ფაფასავით იქცევა, შეიძლება აწებოვდეს კიდევაც და ჯოხით რომ მოურიოთ ზოგი ნაწილები ზევით მოექცევიან

წყალს, აამღვრევენ მას და ზოგი-კი ჩაილექებიან დაბლა.

ესეთი მოვლენა ნამეტნავად აშკარად ხდება მაშინ, როცა გამოშრალებულს, გაშხმარ თიხა მიწას ჩავდებთ წყალში. ნესტიანი თიხა ისე მაღარ არ იშლება წყალში. დასორსლებული რგვლად თიხა ნესტიანი რომ ჩავაგდოთ წყალში თითქმის ვერაფერ ცვლილებას ვერ შევამჩნევთ, მაგრამ იგივე სორსალი რომ რამდენიმე დღე ჯერ თბილ ოთახში შევინახოთ სანამ კარგა გამოშრება, გამაგრდება და მერე ჩავაგდოთ წყალში, ნახევარ საათის განმავლობაში დაიშლება. ჯავარიანი ქვა შეიძლება თვეებით იდოს წყალში შეუცვლელი. ქვის მარილი და ზოგიერთი სხვა მინერალები სრულიად დნებიან წყალში. ნიადაგი, პირიქით, წყალში სრულიად არა დნება ან დნება მხოლოდ მცირედი მისი ნაწილი და დანარჩენი კი წყალში იშლება, ამღვრევს წყალს და ბოლოს გამოილიქმნება, გამოშორდება ხოლმე მას.

მაშ ჩვენ უნდა ნიადაგი წარმოვიდგინოთ როგორც სხეული შემდგარი წვრილი უთვალავი მარცვლებისაგან, რომლებიც ადვილად შორდებიან ერთმანეთს და ერთად იღებენ ასეთ თუ ისეთ ფორმას.

აი, სწორედ ამ თვისებებისა გამო შეგვიძლიან ხოლმე ჩვენ ნიადაგის ბარით, გუთნით, ფარცხით და სხვა სამეურნეო იარაღებით დამუშავება.

იმგვარად, ზემოთ ნათქვამიდან ჩვენ ვხედამთ ნიადაგის ორ უმთავრეს თვისებას: რომ იგი ფხვიერია და აღვილად იშლება.

რისაგან შესდგება ნიადაგი, ამაზე ზემდეგ ვილაპარაკოთ.

ვ. გულბათიშვილი

შინაური საქონლის მოვლა-მოშენება

პირველად და ბევრგან დღესაც ადა-
მიანი მხოლოდ შინაურ საქონლის სიმ-
რავლეს აქცევდა და აქცევს ყურადღე-
ბას. ბევრი ჰყავს — მაშ მდიდარია, მაშ
უხვადა აქვს თავის გამოსაყვები... სა-
ქონლის საკვებზედ არა ჰზრუნავს, რად-
გან მიწების სიუხვე ნებას აძლევს
საქონელი იქ გადარეკოს, სადაც სა-
კვებია; თავის ფეხით გამოვა. მთა-გო-
რაკი, გაშლილი ტრიალი მინდორი,
სითბო, სიცხე, ნებას აძლევს შესაფე-
რი საძოვარი და შესაფერი სითბო მო-
უპოვოს. და აკი ადამიანიც აჭსდევს
საქონელს ბარიდგან მთაში და მთიდ-
გან ბარში ჩამოსდევს. თუ გზაში, ან
ბინებზე ზარალი მოუვა, ამისი დარღი
არა აქვს ხომ ბევრი ჰყავს და მაშ თა-
ვი რაზე შეიწუხოს?! მერე ლეშიც
ხომ არ ეკარგება?!.. ოთხფეხიც მრავ-
ლად ჰყავს და ხანდისხან კიდევაც უხა-
რიან, როცა რამ მოუკვდება. „ოთხ-
ფეხს საჭმელი აქვსო“ — ფიქრობს, რად-
განაც საღის დაკვლა და ოთხ-ფეხის
საკვებად მოხმარება არ ეხერხება...

ჯერაც ბევრგან დღემდის ცოლ-შვი-
ლით საქონელს ასდევენ და ჩამოსდე-
ვენ ზამთარ-ზაფხულობით. მთელი იმა-
თი სიცოცხლე ამ მოძრაობაშია...

ვისაც ყარაიაზი, იალლუჯა და კი-
დევ სხვა ტბილისის ახლო მდებარე ვა-
კე ადგილები უნახავს, ის ნათლად დარ-
წმუნდება, რომ ჩვენი სიტყვები მარ-
თალია და საბუთებისთვის შორს წასვ-
ლა აღარ დაგვჭირდება. ტფილისში
მცხოვრებს, თუ ეს ადგილები არ უნა-
ხავს, მაისის დასაწყისიდგნან გავიდეს ორ-
თაჭალისკენ და იქიდგან თვალი მიავლ-
მოვლოს. სასიამოგნოც არის მაშინ

იქით გასეირნება. მხოლოდ დილით
ადრე კი. უეჭველია, იმის ყურადღე-
ბის მიიქცევს ერთი გარემოება: აუა-
რებელი საქონელი თავის პატრონე-
ბით ურმებზე დაბარებულ ბარგისარ-
ხანით, ცოლ-შვილით და ფრინველით
მიემგზავრება საითკენლაც. პირველ ნა-
ხვაზედ უეჭველად ისე იფიქრებთ: ეს
ხალხი ვიღასაც აუყრია, გამოუდევნია
და ეხლა მიღის სადღაც ახალ სამშობ-
ლოს საძებნელად!.. მაგრამ მარიამო-
ბისთვის ნახევრიდგან ენკვენისთვის ნა-
ხევრობამდის რომ კიდევ გაისარჯოთ
და იქითვე გაისეირნოთ, მაშინ უეჭვე-
ლიდ იმავე სურათს ჰნახავთ მხოლოდ
მგზავრებს პირი იქით აქვთ მიქცეული,
საითაც მაისში ზურგი ჰქონდათ. ცოტა
დაკვირვებაც რომ გამოიჩინოთ, შეატ-
ყობთ: თითქოს ნაცნობები არიან.

ტფილისის ჩარჩებმა ძალიან კარგად
იციან ეს მოძრაობა გაზაფხულ-შემო-
დგომობით და სიხარულით წინ ეგე-
ბებიან. ამ დროს ძალიან ბევრი აქვთ
ხელის მოსათბობი, და თქვენც უნე-
ბურად ყურადღების მიაქცევთ ამ დროს
როგორ ფარვანსავით დასტრიალებენ...

მაისის შემდეგ ყარაიაზში სრულე-
ბით მიტოვებული ბინები-ლაა... უწყ-
ლო დაიღრჩობი, თუ არ იცი სად შე-
იძლება ოჯახი ცვარის შოვნა. ზამ-
თარში კი ყველაფერს იშოვი. ადამია-
ნი თავის იჯახობით აქ ბუდობს... მაგ-
რამ ბუდე ძალიან უვარებისია.

საქართველოს მიღამოებში ასეთი ად-
გილი ბევრი არ მი ი' უვება.

ქართველ ერის ცხოვრებაში ხომ
სულ არაა ამისთანა მოვლენა. ცოლ-
შვილით საქონლის ფეხის აყოლის ად-

საუბარი დედამიწაზე

გილიარა აქვს ქართველი ერის ცხოვ-
რებაში.

მართლია, ჩვენი თუში, ფშავი, მთი-
ული კახელი შირაქში მიეშურება თა-
ვის ცხერით ზამთრობით და ზაფხუ-
ლობით კიდევ მთებისკენ მიექანება,
მაგრამ იქ ვერ პნახავ საქონლის პატ-
რონის ცოლ-შვილს. აქ მხოლოდ მწყემ-
სები არიან.

ასეთი მოვლენა იღამიანის ცხოვრე-
ბაში მეორე ნაბიჯია საქონლის მოვ-
ლა-მოშენებაში.

ამ ხანაში აღამიანი ფიქრობს უკეთ

მოაწყოს თავის ცხოვრება, ცინცაუყა-
ვარს და ფსთვისაც ზრუნავს, იმათვის
უკეთესი პირობა შექმნას, .. საქონელს
კი ისე უყურებს, როგორც დამხმარეს,
თავის კეთოლ-დღეობის გამაუმჯობე-
სელ საღსარს.

პირველ ნაბიჯის დროს აღამიანი თა-
ვის პირვნებას თითქმის მთელ სუ-
ლიერობას უერთებს. თავის პირვნე-
ბას არ არჩევს გარეშემოსგან. მეო-
რე ნაბიჯის დროს კი პირვნების გა-
მოყოფაა....

შ. დედამიწაზე

საუბარი დედამიწაზე

(გაგრძელება)

ქვიშნარი მიწები საზოგადოთ პატა-
წინა ქვებისგან შესდგებიან, ამისათვის
წვიმის დროს ერთმანეთს არ ეკვრიან
და არა ტალახდებიან როგორც მაგალი-
თად თიხა. ამ მიზეზით ქვიშა მიწები მუ-
დამ ფხვიერი და ადვილად დასამუშავებე-
ლია. გარდა ამისა ჰაერი და წყალიც
ადვილად წადიან იმის სიღრმეში, სა-
დაც მცენარის ფქვსვები ან ლრმათ დაყო-
ლილი თესლია. ქვიშნარი მიწები თა-
ვისუფლად ლებულობენ წყალს და ჰაერს;
როგორც მალე სველდებიან, ისე ჩქა-
რაც შრებიან, მაგრამ მთლად კი არა,
არამედ შრება მარტო მათი ზედაპირი —
სიღრმეში კი სინეტე მას მუდამ გამო-
ულვალი აქვს. ამის წყალობით გოლ-
ვიან წლებში ქვიშნარმა მიწებმა უკე-
თხის მოსავალი იციან, ვიდრე თიხნარ.
მა და სხვა მიწებმა. ქვიშა რაც უნ-
და ძალიან გამოიგოლოს ის მაინც არ
დასქდება, და თუ დასქდა კიდეც, მა-
შინ ის როგორც ფხვიერი მალე იშ-
ლება და დახეთქილ ალაგებს თავის
თავად ამოამსებს ხოლმე. როგორც ზე-

ვითა ვსტევით, ქვიშა მიწებს იდვილად
ჩაატანს ჰაერიც და წყალიც, ამისა-
თვის ყველა ორგანიული ნერთიერება-
ნი სწრაფათ იხრწნებიან და ამნაირად
მალე მზადდება მცენარეთვის საკვე-
ბავი ნივთიერებანი; ამასთან ისც არ
უნდა დავივიწყოთ რომ ეს საკვებავი
ნივთიერებანი ძალიან მაღლეც გამოიც-
ლებიან ხოლმე, იკარგებიან ქვიშნარ
მიწასაგან. ამგვარი მოვლენა საზოგა-
დოთ იმით აისხება, რომ ქვიშა, რო-
გორადაც მაგარი სხეულებიდან შემდ-
გარი მიწა, ვერ იწოვს ზემოხსენებულ
საკვებავ ნივთიერებებს და ამისათვის ვერ
იკერს მათ: მოვა თუ არა წვიმა, ან მორ
წყვის დროს წყალს თან მიაქვე იგინი.

ქვიშის ამგვარი თვისება საჭიროა მე-
ურნემ მუდამ სახეში იქონიოს, ესე იგი
ქვიშნარ ზეადაგებს ხშირათ უნდა გაპა-
ტივება, მხოლოდ გულუხვად კი არა.

ქვიშნარი მიწები ორ ნაირია: ის ქვი-
შა მიწა, რომელიც პატაწინა გამჭვირ-
ვალე ქვებისაგან შესდგება, თაგვამარი-
ლა, ნარევ ქვიშას უწოდებენ (ევარცე-

ვა). ეს გამჭვირვალე წვრილი ქვიშები მუდამ ასე შეუცვლელად რჩებიან, ესე იგი არ იშლებიან, ამისათვის თაგვმარილანარევი ქვიშები მცენარეთათვის გამოუსადეგარი და უნაყოფონი არიან.

მეორენაირი ქვიშაში კი ეს გამჭვირვალე ნაწილები არ მოიპოვება, აյ უენდებით სხვადასხვა ფერის პარტინა ქვებს, რომელიც იშლებიან, ფხვიერდებიან და ამათ გაფხვიერებას ძალიან ხელს უწყობს სასუქიც.

არის მესამე ნაირი ქვიშაც, რომელსაც უფრო ნაცრის ფერი აქვს. ეს ქვიშა მიწა უცელაზედ უვარებისი და უნაყოფოა მცენარეთათვის.

კირნარი მიწები. თუ კირნარ მიწებში კირის მარცვლები ძალიან წვრილია, ფქვილის მაგვარი—მაშინ ეს მიწა თავის თვისებით უფრო თიხას მიემსგავსება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც კირის მარცვლები მსხვილი და მაგარია, მაშინ ქვიშნარ მიწას მიემსგავსება იგი. კირნარმა მიწებმა საზოგადოდ მოსავალი არ იციან კარგი, თუმცა ზოგიერთა მცენარე მშვენივრათა გვარობს. კარნარ მიწას, თუ თიხა და ქვიშა გაერია, მაშინ ის იცვლის თავის წინანდელ თვისებას. ამნაირ მიწებს **მერგელიან** ნიადაგებს უწოდებენ. როდესაც თიხა მეტი ურევია, მაშინ **თიხამერგელიანს** ეძახიან; როდესაც ქვიშა მეტია, მაშინ **ქვიშა-მერგელიანს**.

გუმუსი. წინა წერილიდან ჩვენ უკვე ვიცით რომ მიწის შავი ზეადაგი წარმოსდგა მცენარეების და ცხოველების გახრწნით. სადაც ამ დამპალ მცენარეებს და ცხოველებს წყლიანი აღილი დაჰპირდა ძირს, იქ ამ ზეადაგებს **ჭაბიან გუმუსებს** უწოდებენ. მშრალ აღა-

გებში კი პირდაპირ **შავ მიწას** ეძახიან. თუ ჭაბიანი აღილები გააშრო კაცმა, მაშინ შეიძლება ყველანაირი მცენარე ავაროს იქ; მხოლოდ მშრალ შავ მიწებს რასაკვირველია იგი არასოდეს არ შეედარება მოსავლიანობით. ამას ჩვენ ახლაც ვხედავთ: კაცს რამოდენიმე საუკუნე მოჰყავს შავ მიწებზედ პური, ქერი და სხვ. და თითქმის დღემდისაც კიდევ არ გამოჰლევია შავ მიწას ძალა, ანუ ის საკვებავი ნივთიერებანი, რომელიც მცენარეთათვის არის საჭირო. შავ მიწებს აქვთ კიდევ ის კარგი თვისება, რომ ისინი მუდამ ინახავენ საკმაო სინესტეს და სიფხვიერეც არ აკლიათ. გარდა ამისა შავ მიწას, როგორც ნოკიერს, ეტანებიან სხვადასხვა ჭია-ლუა, რომლებიც შიგვე იხოცებიან და ამნაირად აპატივებენ მას. იმ ამით აიხსნება შავი მიწების დაუღალობა, რომელიც მას შერჩენია დღემდის.

თუმცა ჭაბიანი ზეადაგიც დამპალი მცენარეებისა და ცხოველებისაგან წარმოსდგა, მაგრამ პურს აქ იმდენი ზედგავლენა არ ჰქონდა, როგორც მშრალ ალაგებში. წყალ ქვეშ მოყოლილ დამპალ მცენარეებს და ცხოველებს ჰაერი ძალიან ცოტა ან სულ არ ჰხდებოდა, რის გამოც ჭაბიან მიწებში ვერ შექმნდებით გვარჯილის—ერთ უსაჭიროესთაგან საკვებავ ნივთიერებას. ამ წყლიან ალაგებში წარმოსდგა მწირი უნკიერო ზეადაგი, რომელსაც სახელით **ტორფის უწოდებენ**. ამ გვარ მიწების გამოსაკეთებლად დიდი შრომაა საჭირო, რაღვანაც საჭიროა მათი გამოშრობა და შემდეგ ღრმად დამუშავება, ესე იგი მოხვნა ანუ გადაბარვა.

ამ წერილში რაც შეიძლებოდა მოკლედ ასწერე ჩვენი სხვადასხვა მიწების ფიზიკური თვისება. რაც შეეხება იმას, თუ რა ნივთიერებიდან შესდგება

თვითეული მათგანი, ესე იგი კიმიურ მათ შედგენილობაზედ, ვეცდები შემდეგ წერილში მოველაპარაკო „მოსავლის“ მკითხველს. გ. ნახუცრიშვილი

მსხალი და ვაშლი

ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც არიან მოსკოვი და პეტერბურგი, ხილი—მსხალი და ვაშლი საფრანგეთიდან, ტიროლიდან და შტირიადან შეაქვთ აუარებელი ზომისა, მაგრამ მიუხედავდ ამისა კარგ ვაშლს ან მსხალს იქ მანეთზე იაფად მაინც ვერ იყიდი ცალს.

რას გვიჩვენებს ეს გარემოება, თუ არ იმას, რომ თვით რუსეთში და კერძოთ ჩვენშიაც მეხილეობა, მსხლისა და ვაშლის მოვლა-მოყვანა ზედმიწვნით, ძლიერ დაბლა სდგა და დიდ შემოსავლიან დარგად კი უნდა ითვლებოდეს.

ჩრდილოეთსა და შუა რუსეთში ამ ხილის გაჩენა დიდ ხარჯსა თხოულობს შედარებით, ჩვენში კი არამაც თუ მსხალი ან ვაშლი, თუნდა ატამი ჩაფალსაც გინდა, იხარებს და თუ ცოდნით მოუვლი, მშვენიერ, ძვირფას ნაყოფს მოგცემს.

ნუ თუ ჩვენზე უფრო უპრიანი არ არის, პეტერბურგისა და მოსკოვის ბაზრებმა ჩვენ გვაძლიონ იმოდენა ოქროვერცხლი, რაც ეხლა საზღვარ-გარეთელებს გააქვთ მსხალსა და ვაშლში?

იქნება მითხრან: ხეხილი, მეტადრე მსხალი და ვაშლი საზღვავ ადგილებს თხოულობენ და ჩვენში კი ზოგან წყალი დასალევიც არ არისო. მართალია. ყველგან საზღვავი მინდვრები არა გვაქვს, მაგრამ საცა ეს საზღვავებია, იქ კი ხშირია ჩვენში წესიერად დაყე-

ნებული ხილის ბალები? მართალი რომ სთქვას კაცმა, მაგალითისათვისაც კი ძნელად იპოვი წესიერად მოვლილ ბალს ჩვენში, ისიც ვინ იცის იპოვი თუ არა.

ანდა: განა იქ, საზღვარ-გარედ კი ყოველის მხრივ ხელშემწყობილი პირობებია, საცა ჩვენზე კარგი მსხალი ან ვაშლი მოჰყავთ, ყველგან სარწყავებია, ან არა ჰყინავს, ან გაზარალებელი სოკო-მწერ-ჭიები არ არიან, ან გოლვა, ქარი ან დაენინებული წვიმია არ იცის, ან ყველა კაცი იქ მცოდნე და დახელოვნებული მებაღეა?

მეტის მეტი იქნებოდა რომ ყველა კარგი იქ იყოს და აქ კი არაფერი.

ნამდვილიად კი, თუ საქმე ძიებაში ჩავარდება, ადვილად აღმოჩნდება, რომ ისეთი ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები ამ საქმეში, როგორიც აქ, ჩვენშია, იქნება სხვაგან ევროპაში არსაცაც არ იყოს.

გოლვა-ქარი-წვიმა-ყინვა იქ თუ მეტად არა, ვიდრე ჩვენში, ნაკლებ არ იცის, არც ხალხია ვენახ-ბალეულობის მოვლაში მეტად გაჩვეული მაგრე რიგად და სხვა.

წესიერად დაყენებულ ბალების გავრცელებას ჩვენში უმთავრესად ორი მიხეზი აპროკლებს.

პირველი მიზეზი—ჩვენი ნაკლები შედარებით გამრჯელობაა, ვიდრე ევროპიელებსა აქვთ ეს თვისება და მეორე—ჩვენი დღემდე არსებული შეხედულება, რომ ვითომ მეხილეობა-მებალეობა ხელ-

მისაცემი საქმე არ მოს, ხილს ბაზარი, გასხვალი არა აქვს. ერთი ორი ძირი მსხალი ან ვაშლი, რაც უნდა კი ჯიშისა იყოს, ისეთ მოსავალს ვერ მოგვცემენ, ცხადია, რომ პეტერბურგამდე წაღების და იქაურ ბაზარზე გასატანი ხარჯის მესახედი დაიფაროს, მაგრამ თუ ერთსა და ორ ათასს ხეხილს მოუყრით თავი-თავს, 10—15 წლის შემდეგ ერთი ათად მეტს ავიღებთ ყოველწლივ, ვიდრე ხარჯს გავწევთ.

უნდელესი ჩვენთვის ეს ლოდინია 10—15 წლის განმავლობაში.

ჩვენ, ყველაფერში გულსწრაფებს, ჩვენი ხელმოკლეობის გამო ხვალვე გვინდა დანახარჯი დაგიბრუნოთ და ამასობაში არც არა ხვალ გვეძლევა და არც „ხვალეს“ შემდეგ.

ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია. თუ ეხლა მაინც ვგრძნობთ რომ ძალა დაგვადგა — ნეტარება იმას, ვინც ამას დღესაც არა გრძნობს, — მაშ ლოდინიც უნდა ავიტანოთ ძალა უნებურად და დღეიდან მაინც შეუდგეთ ისეთ საქმეს, რომელიც 10—15 წლის შემდეგ უტყუარად აგვინაზლაურებს შრომას.

ესეთი საქმე ჩვენში სხვათა შორის კარგი ჯიში ვაშლისა და მსხლის მოყვანაა ბლომად შორ ბაზარში გასატან-გასაყიდათ.

ვნახოთ რა სახით ამრავლებენ ეხლა ხეხილებს.

წესიერად მოვლილ ხეხილს სხვადასხვა ფორმას ძლიერენ.

ხეხილები მოვლილ ბალში არიან ტან-მაღალი, ტან-დაბალი და უტანო ანუ ნაგალა.

ტან-მაღალს ანუ პირდაპირ **მაღალს** ეტყვიან ხეხილს, როცა ხეს მსხვილი, ტიტველი, ორ არშინამდე სიმაღ-

ლით ღერო აქვს და ზედ შემდეგ გიშ-ყობიან აქეთ-იქით გასულ-გამოსული მსხვილი და წვრილი ტოტები.

ტან-დაბალს ანუ **დაბალს** ეტყვიან ხეხილს, როცა ღერო სიმაღლით ერთ არშინამდე აქვს.

უტანოს ანუ **ნაგალას** ეტყვიან ისეთ ხეს, რომელსაც ღერო სიმაღლით ერთ არშინზე ნაკლები აქვს.

ამგვარად, ნაგალა ხეხილი არის ისეთი, რომელსაც ან ერთი ღეროს მაგივრად რამდენიმე ძირი აქვს ყველა შედარებით წვრილები, ან და ძირად ერთი ღერო აქვს, მაგრამ დაბალი ერთ არშინზე და მასთან მცენარე საზოგადოდ ტან-სუსტია, როგორც ბუჩქი ან ჯავი.

ბევრი ჯიში ვაშლი ან მსხალი ბუნებითვე არის ტან-სუსტი და თუ ხელს შეუწყობთ გასხვლით, უფრო შეგვიძლიან დაუდაბლოთ ტანი და საზოგადოდ დავანაგალით.

ნაგალა ვაშლისა და მსხლის მისაღბად ხეხილებს ამყნობენ გარეულ პანტამაჭალოზე კი არა, მათ მონათესავე მცენარეებზე, რომელთაც ტანი შედარებით ნაკლებ აქვთ განვითარებული. ესეთი მონათესავე მცენარენი არიან: მსხლისა — კომში და ვაშლისა — ეგრედ წოდებულნი პარადიზე (райская яблоня) და ლუსენი. ყველა სხვა საძირები არა ვარგობენ. არც თვით პარა. დიზე არის მაგრე რიგად საქებური, რადგან ფესვები აღვილიად ემტვრევა, ნამყენი მასზედ ძრიელ მძიმეთ იზრდება, თვით ზრდა სუსტი აქვს ნამყენს, ჩეარა იწყობს დაყვაილებას და ნაყოფის გამოტანას, მალე უძლურდება და ხმება

აქედანვე უნდა ვსთქვათ, რომ ეხლა ევროპაშიაც და ზოგან რუსეთშიაც,



მაგალითად ყირიმში, ნაგალა ხეხილების გავრცელებას მიეცა უველა მხრით უპირატესობა და თითქმის სრულიად განიდევნა ტან-მაღალი და ტან-დაბალი ხეხილების გაშენება. ნაგალა მსხალვაშლების უხვი და ყოველი ღირსებით სავსე მოსავლით მეხილეობას მიეცა ნამდვილი კომერციული წარმოების ნიადაგიც და ხასიათიც.

ნაგალა ხეხილებს ზრდიან რამდენიმე ფორმისას იმის მიხედვით სად რა მიზანს უნდათ რომ მიაღწიონ.

აქამოძე მაღალ ღირსების ფორმათ იყო ცნობილი ნაგალა ხეხილების სიმეტრიული გასხვლით გაზრდა, როდესაც ხეს შეუძლიან დიდი, ლამაზი და ყოველი სხვა ღირსებით სავსე ცალკე ნაყოფის მოცემა და მასთან ბალში უველა ხეები თვალისათვის სასიამოვნოდ არიან ერთ რიგზე მწკრივად აშკარად გამორჩეულ ფორმით გაზღილ-გაშლილნი.

ხოლო რადგან ესეთი მოვლა ხეხილებისა ძრიელ ძვირათა ჯდება, მეტოდნა-წვალებას და მეტად გავარჯიშებულ მუშას თხოულობს, კომერციულის მიზნით მისაღები არ არის და ამიტომ ჩვენც თავი მივანებოთ ამ ფორმას.

1900 წელს გენზენგეიმის პომოლოგიურ ინსტიტუტის დირექტორმა რუდოლფ გეორგ ცოტათი შეცვალა ზემოთ აღნიშნული ძნელი მოსავლელი ნაგალა ხეხილების ფორმა, რამაც მოვლა-მოშენება მათი გაადვილა, გააიაფა და კომერციული მხრივაც მისაღები გხიადა.

გეორგს წესით ერთი წლის პაწაწინა მცენარე უნდა ადრე შემოდგომითვე დაირგას და სამ კვირტზე გაისხლას. მეორე შემოდგომისთვის ამ მცენარეს გამოსული ექნება სამი ყლორტი, რო-

მელთ შორის შუალა აიშვება მაღლა და ნაპირა ყლორტები, კი უნდა გადააწვინოთ და მავთულზე მივაკრათ; შემდეგ ამავე შემოდგომის გასულს ეს სამივე ყლორტები ისევ სამ-სამ კვირტზე გაისხვლებიან.

მესამე შემოდგომისთვის უკვე იქნება გაზრდილი რამდენიმე ყლორტი, რომელნიც მთელი მცენარის მოყვანილობას მარაოს დამზადებენ; ამ ყლორტებში, რომელნიც ზევით იყურებიან, მოკლეთ გასხვლებიან, რომელნიც გვზათ — გრძლათ, რადგან სწორედ ასული ტოტები უხვად იკვებებიან და როცა მათ მოკლეთ გავსხლავთ, უველა ტოტები ტოლად გაიზრდებიან.

ამნაირად მიიღება ხე, რომელსაც რამდენიმე სართულიანი გვერდზე გასული მსხვილი ტოტები ექნება და ზედ ამ ტოტებზე ბევრი წვრიელი ტოტები. როცა ესეთი ფორმა დამთავრდება, ხეს შემდეგ გასხვლაც აღარ დასჭირდება, რღონდ ყოველ ზაფხულობით წვრილი ყლორტ-კეშეწები შეეკვეცოს მაკატლით ანუ ხე გაიკრიჭოს ხოლმე.

მეორე ფორმა ნაგალა ხეხილებისა არის **ბუჩქის ფორმა**.

ეს ფორმა უველა მხრით უფრო ხელსაყრელია, რადგან ამ შემთხვევაში მცენარე არ თხოულობს არც დიდ ხარჯსა და წვალებას გაზრდაში, არც სპეციალურ ცოდნას მოვლაში და არც დიდ რამე მოვლას საზოგადოდ.

ერთი წლის პაწაწინა მცენარე უნდა ჩაირგას ნიადაგში და პირველ ორ წელიწადს გაისხლას, რომ $\frac{1}{4}$ არშინის სიმაღლეზე ღერო გაეზარდოს და ტოტებს სწორე მიმართულება მიეცეს. შემდეგ მთელი მოვლა იმაში გამოიხატება მხოლოდ, რომ უფრო სუსტი და მეტ-წყლიანი ყლორტები შეეჭრას

ხოლმე ნაპირებიდანაც და შუაგულ-შიაც, რომ ჰაერს და სითბო-სინათლის სხივებს მზისას შეეძლოთ თავისუფლად იმუშაონ შიგნით ტოტებზედაც.

რა უპირატესობა აქვს ნაგალა ხეხილს ტან-მალალ და ტან-დაბალ ხეხილებთან შედარებით, ამაზე შემდეგ.

საყურადღებო ცნობები

გაყინული მიწის გადნობა. ჩშირად ზამთარში მიწა ისე იყიდება, რომ არც ბარი და არც წერაქვი ვერაფერს შევლის. დასარბილებლად გაყინულ ადგილს თოვლი უნდა გადააფაროთ და ზევიდგან წყალდაუსამელი კირი დაყაროთ. ყინულიც და მიწაც ხელად გადნებიან.

ჭის მოძებნა. საჭმე ჭას, მოსთხრიდეთ, ჯერ უნდა მოსათხრელია აცგილი მოსქებნოთ. ამის საფიქსი, თიბათვეში ამ ჭათათვე ში როცა დოფი სიცხეები და გოლვა არის, თუ იძისთან ადგილს ვიპოვნით, სადაც მწვანე მაღალი ბასახი იზდება, იქ წყალიც ამოვა, რო ჭა მოითხაროს.

დ. 8

განცხადებანი

მოსავლის რედაქციაში იყიდება გამდეგი ქართული წიგნები:

გ. ი. რცხილაძე კრებული არითმეტიყული ამოცანებისა (მეორე ნაწილი) 50 კ.

იმისივე (თარგმანი) ქიმია პრ. როსკოსი (მეორე გამოცემა) 40 კ.

იმისივე საზოგადოებრივი ცხოვრების წარსულიდგან და შევიცარის ძირითადი კანონები 25 კ.

(ამ გამოცემის წმინდა შემთხვევადი ტუფი-დისის სახელსთ უნივერსიტეტის სასარგებლოւთ არის დანიშნული).

სამიზნეო უზრუნველი

მოსავლი

წელიწადი მეორე

შიიღება ხელისმოწერა 1910 წლისათვის. უურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია პპირდება თავის ხელისმომწერლებს რჩეულ მცენარეების საუკეთესო თესლის გაგზვნას უფასოდ.

თუ შესძლებს რედაქცია, უურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზვნის აგრედვე უფასოდ თითო წიგნს—ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგიდან.

რედაქციის აღრესი: თიფლის, ბართინსკая, 5. რедакცია «МОСАВАЛИ».

მოსავლი

ერთ წიგნად ყდა-კაზაცული უურნალის ყველა 15 ნომერი აქამდე გამოსული მსურველთ დაეთმობათ იმავე 2 მანეთში, რამდენიც წლის დამლევამდე ლირდა უურნალი.

რედაქ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე

ამერიკული ვაზის სანერე

კრო-უგურული

ქ. ქუთაისში

სანერე მდიდარია ეოველნაირი კიმის ვაზებით და ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს მთელს რესეტში.

მსურველთ გაეგზავნებათ პრესკურანტი და განმარტებანი უფასოთ.

